# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N166

ქ. თბილისი

02.07.2019 წელი

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს,,ტაინა", წარმოდგენილი მისი დირექტორის, ვასილი გეთიაშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT190010471** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ სხვა მითითებას არ შეიცავს წინამდებარე ხელშეკრულება;
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანია: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დამხმარე შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. (CPV-45454100).
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცხვასა და სატენდერო დოკუმენტაციაში რომელიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 95650.00 (ოთხმოცდათხუთმეტი ათას ექვსასორმოცდაათი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ბეჟან მესხი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი -კობა სეფაშვილი .
5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშოების მიღება-ჩაბარება წარმოებს სამუშაოების დასრულების შემდგომ ორმხრივად ხელმოწერილი ფორმა #2-ის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების შემთხვევაში - ექსპერტიზის დადებით დასკვნის გათვალისწინებით. ფორმა #2 წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს სამუშაოების შესრულებას და რომელიც შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერილია უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

6.2. მშენებლობის დასრულების დამადასტურებელი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს შორის ხელისმოწერით მოწმდება წარმოდგენილი ფორმა#2-ის/ების საფუძველზე და მათზე სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზისთვის წარდგენილი ფორმა #2(ების) მიხედვით შედგენილი (წარმოდგენილი) ექსპერტიზის დასკვნა გულისხმობს ფორმა #2(ების) კორექტირებას, საბოლოო ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი საბოლოო მიღება-ჩაბარების საფუძველს წარმოადგენს კორექტირებული ფორმა #2 (ები). ასეთ შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ფაქტიური მოცულობა და ღირებულება დადგინდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დგება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე კორექტირებული ფორმა #2 შესაბამისად.

6.4 ფორმა N2-ები, ფარული სამუშაოების აქტები - ასევე დადასტურებული უნდა იყოს შემსყიდველის კონტრაქტორი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველის მიერ.

6.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს შემსყიდველის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი;

## 7. სამუშაოების შესრულების პირობები და გარანტია

7.1. სამუშაოების შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღე. თუ შესრულების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, შესრულება გადაიწევს პირველივე სამუშაო დღეზე.

7.2. სამუშაოების შესრულების ადგილი: ქ.ქუთაისი.ნიუპორტის ქ N32.

7.3. საგარანტიო ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან:გამაგრება-გაძლიერების სამუშაოებზე საგარანტიო ვადა შეადგენს 15 (თხუთმეტი) წელს, ხოლო სხვა სამუშაოებზე - 3 (სამი) წელს. ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტი, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში

7.4. დრო, რომელიც ესაჭიროება შემსყიდველს ექსპერტიზის განსახორციელებლად არ ჩაითვლება სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადებში (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი). ამასთან ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოში ხარვეზის/შეუსრულებლობის დადგენის შემთხვევაში, ექსპერტიზის მიმდინარეობის ვადა მიეთვლება ხარვეზის გამოსასწორებელ ვადას და მთელ პერიოდზე დაერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02% ოდენობით თითოეულ დღეზე. ექსპერტიზის მიერ ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, გამოსწორებულ ხარვეზზე უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, რომლის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი (ექსპერტიზა ჩატარებული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ). სამუშო გამოსწორებული უნდა იყოს სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

7.5. სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების წესების დაცვაზე სრულად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7.6. უსაფრთხოებისა და სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული წესების დაუცველობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.7. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.

7.8. სამუშაოების მიმდინარეობის პარალელურად და დასრულების შემდეგ ნარჩენების გატანას და ტერიტორიის დასუფთავებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით

7.9. სარემონტო სამუშაოების საათები და პერიოდი (სამუშაო დღეებში-უქმე და დასვენების დღეების გარდა), შეთანხმდეს სასამართლოსთან.

7.10. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ სამუშაოების ფარგლებში მიღებული ან/და გამოწერილი ზედნადებები, ან/და ხარჯების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია. თავის მხრივ, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა.

7.11. სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს გასამაგრებელ შენობაში არსებული გათბობის დანადგარების - მეურნეობის დემონტაჟი და იქვე დასაწყობება, დანადგარების შეფუთვა, რათა ატმოსფერულმა ნალექმა ან/და სამშენებლო მტვერმა არ დააზიანოს, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ მონტაჟი, სისტემის გაშვება-რევიზია.

## 8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

8.3. დაფინანსების წყარო: 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

8.4. შესრულებული სამუშაოების 80% მიმწოდებელს აუნაზღაურდება მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულების და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე ფორმა N2-ის მხარეთა მიერ ხელმოწერის შედეგად; ფორმა N2 ასევე დადასტურებული უნდა იყოს შემსყიდველის კონტრაქტორი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველის მიერ.

8.5 შესრულებული სამუშაოების (ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი) ჯამური ღირებულების დარჩენილი ნაწილი მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის (ექპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს შემსყიდველი) დადებითი დასკვნის და მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

8.6. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან გამოწვეული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

11.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

12.2. სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით.

12.3. სამუშოების შესრულების საბოლოო ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1% ოდენობით, თითოეული დღისთვის. ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი პერიოდით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს გაფრთხილებით და განუსაზღვრავს შესაბამის სამუშაოების დასრულებისთვის გონივრულ ვადას. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

12.4. ამ მუხლის 12.3. პირობის დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს უკვე შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო ექსპერტიზის განხორციელება. უკვე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, პირგასამტეხლოს თანხის გამოკლებით, მიმწოდებელს აუნაზღაურდება მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემდეგ. ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.

12.5. თუ დაყოვნება ან ვადის გადაცილება არ არის დამოკიდებული მიმწოდებლის განზრახვაზე ან გაუფრთხილებლობაზე, ან გამოწვეულია შემსყიდველის მიერ, პირგასამტეხლო არ გამოიყენება.

12.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 15. დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #32
ს/კ 203860642

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

**მიმწოდებელი:**
შპს ,,ტაინა“
მის: ქ.ქუთაისი.ზუხაიძის ქ.II მ/რ N29 ბ 43
სს“თიბისი ბანკი" TBCBGE22
ა/ა: GE24TB7906936080100004

ვასილი გეთიაშვილი
დირექტორი

# ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ცალკე მდგომი შენობის №01/2 (დამხმარე შენობა-ნაგებობის) გამაგრება- გაძლიერების

## ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა №1

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

**95.65000** ათასი ლარი

| NN | საფუძველი | სამუშაოების დასახელება | განზ. | ნორმატიული რესურსი |  | ხელფასი |  | მასალა |  | სამშენებლო მექანიზმები |  | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  | ერთეულ. | სულ | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი |  |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | სნდაწ IV-2-82 46-29-1 | **ბეტონის შემონაკირწყლის დემონტაჟი** | **მ3** |  | **5.2** |  |  |  |  |  |  |  |
|  |  | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 7.3 | 37.96 | 0.25 | 9.49 |  |  |  |  | 9.49 |
|  |  | მანქანები | ლარი | 2.9 | 15.08 |  |  |  |  | 3.2 | 48.26 | 48.26 |
| 2 | სნდაწ IV-2-82 46-30-5 | **იატაკის ბეტონის ფილების დემონტაჟი** | **მ3** |  | **526.3** |  |  |  |  |  |  |  |
|  |  | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.388 | 204.20 | 0.25 | 51.05 |  |  |  |  | 51.05 |
| 3 | ВЗЕР 1-11 | **საძირკვლის გაძლიერებისათვის გრუნტის ამოღება ხელით შენობის შიგნით** | **მ3** |  | **18.6** |  |  |  |  |  |  |  |
|  |  | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 5.19 | 96.53 | 6.25 | 603.34 |  |  |  |  | 603.34 |
|  |  | მანქანები | ლარი | 3.06 | 56.92 |  |  |  |  | 3.2 | 182.13 | 182.13 |
| 4 | ВЗЕР-88 1-130 | **ამოთხრილი გრუნტის გამოტანა ხელის ურიკებით 20 მეტრამდე გადაადგილებით** | **მ3** |  | **18.60** |  |  |  |  |  |  |  |
|  |  | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.48 | 8.93 | 12.5 | 111.60 |  |  |  |  | 111.60 |
| 5 | სნდაწ IV-2-82 1-22-15 | **კიბის საყრდენებისათვის შენობის გარედან III ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე დატვირთვით** | **მ3** |  | **2.00** |  |  |  |  |  |  |  |
|  |  | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.02 | 0.04 | 12.5 | 0.50 |  |  |  |  | 0.50 |
|  | 13 პ.118 | ექსკავატორი 0.5მ3 | მანქ/სთ | 0.0448 | 0.09 |  |  |  |  | 70 | 6.27 | 6.27 |
|  |  | სხვა მანქანები | ლარი | 0.0021 | 0.004 |  |  |  |  | 3.2 | 0.01 | 0.01 |
| 6 | სნდაწ IV-2-82 1-22-15 | **გამოტანილი III ჯგუფის გრუნტის ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა** | **მ3** |  | **23.80** |  |  |  |  |  |  |  |
|  |  | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.02 | 0.48 | 8.52 | 4.06 |  |  |  |  | 4.06 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 13 პ.118 | ექსკავატორი 0.5მ3 | მანქ/სთ | 0.0448 | 1.07 | | | | | 70 | 74.64 | 74.64 |
| | | სხვა მანქანები | ლარი | 0.0021 | 0.05 | | | | | 3.2 | 0.16 | 0.16 |
| 7 | სრფ 2019წ. I კვ-14 პ.15 | **გრუნტის გატანა 15 კმ-ზე** | **ტ** | | **46.41** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | ტ/კმ | 1 | 46.41 | | | | | 8.7 | 403.77 | 403.77 |
| 8 | სნდაწ IV-2-82 46-21-3,7 | **კედლებში ღარების ამოღება კვეთით 20*25სმ.** | **გრძ.მ.** | | **49.7** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.744+0.173*20 | კაც/სთ | 4.204 | 208.94 | 4.6 | 961.12 | | | | | 961.12 |
| | | მანქანები 0.279+0.065*20 | ლარი | 1.579 | 78.48 | | | | | 3.2 | 251.12 | 251.12 |
| 9 | სნდაწ IV-2-82 8-3-2 | **ფილის ქვეშ ღორღის საფუძვლის მოწყობა სისქით 20სმ.** | **მ3** | | **12.24** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.89 | 10.89 | 7.5 | 81.70 | | | | | 81.70 |
| | | მანქანები | ლარი | 0.37 | 4.529 | | | | | 3.2 | 14.49 | 14.49 |
| | 4.1 პ.240 | ღორღი | მ3 | 1.15 | 14.076 | | | 15 | 211.14 | | | 211.14 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.02 | 0.245 | | | 3.2 | 0.78 | | | 0.78 |
| 10 | სნდაწ IV-2-82 6-1-1 | **არმირებული იატაკისთვის საფუძვლის მოწყობა ბეტონით სისქით 10სმ. B-7.5** | **მ3** | | **6.21** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 1.37*1.15 | კაც/სთ | 1.5755 | 9.78 | 7.5 | 73.38 | | | | | 73.38 |
| | | მანქანები 0.28*1.25 | ლარი | 0.35 | 2.197 | | | | | 3.2 | 7.03 | 7.03 |
| | 4.1 პ.346 | ბეტონი B-7.5 | მ3 | 1.02 | 6.334 | | | 100 | 633.42 | | | 633.42 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.62 | 3.850 | | | 3.2 | 12.32 | | | 12.32 |
| 11 | სნდაწ IV-2-82 8-4-3 | **ჰორიზონტალური ჰიდროიზოლაცია ორი ფენა რუბეროიდით** | **100მ2** | | **0.64** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 19.7*1.15 | კაც/სთ | 22.655 | 14.50 | 4.6 | 66.70 | | | | | 66.70 |
| | | მანქანები 4.37*1.25 | ლარი | 5.46 | 3.496 | | | | | 3.2 | 11.19 | 11.19 |
| | 4.1 პ.377 | ცემენტის ხსნარი | მ3 | 2.50 | 1.600 | | | 115 | 184.00 | | | 184.00 |
| | 4.1 პ.396 | რუბეროიდი 2 ფენა | მ2 | 220.00 | 140.80 | | | 3.5 | 492.80 | | | 492.80 |
| | 4.1 პ.547 | ბითუმის მასტიკა | ტ | 0.42 | 0.269 | | | 1200 | 322.56 | | | 322.56 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 7.20 | 4.608 | | | 3.2 | 14.75 | | | 14.75 |
| 12 | სნდაწ IV-2-82 46-1-1 | **საძირკვლების გაძლიერება რკინაბეტონით** | **მ3** | | **18.64** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 20.4 | 380.26 | 4.6 | 1749.18 | | | | | 1749.18 |
| | | მანქანები | ლარი | 2.53 | 47.16 | | | | | 3.2 | 150.91 | 150.91 |
| | 1.1 პ.26 | არმატურა A-I დ-8 A240 | ტ | | 0.06515 | | | 1850 | 120.53 | | | 120.53 |
| | 1.1 პ.28 | არმატურა A-III დ-10-18 A500C | ტ | | 2.19542 | | | 1770 | 3885.89 | | | 3885.89 |
| | 4.1 პ.351 | ბეტონი B-25 | მ3 | 1.02 | 19.01 | | | 120 | 2281.54 | | | 2281.54 |
| | 1.10 პ.2 | ლურსმანი | კგ | 5.84 | 108.86 | | | 2.5 | 272.14 | | | 272.14 |
| | 5.1 პ.144 | ყალიბის ფარი | მ2 | 1.59 | 29.64 | | | 17 | 503.84 | | | 503.84 |
| | 5.1 პ.7 | ხის მორი | მ3 | 0.26 | 4.85 | | | 1.5 | 7.27 | | | 7.27 |
| | 5.1 პ.33 | ფიცარი ჩამოუგანავი III ხარ. 40მმ. | მ3 | 0.05 | 0.93 | | | 500 | 466.00 | | | 466.00 |
| | 5.1 პ.29 | ფიცარი ჩამოუგანავი IV ხარ. 19-22მმ. | მ3 | 0.12 | 2.24 | | | 480 | 1073.66 | | | 1073.66 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5.1 პ.33 | ფიცარი ჩამოუგანავი IV ხარ. 40მმ. | მ3 | 0.17 | 3.17 | | | 480 | 1521.02 | | | 1521.02 |
| | 1.9 პ.71 | ნაჭედი | კგ | 0.41 | 7.64 | | | 4.5 | 34.39 | | | 34.39 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 1.02 | 19.01 | | | 3.2 | 60.84 | | | 60.84 |
| 13 | სნდაწ IV-2-82 46-23-4 | **ღიობების კუთხეების ჩამომტვრევა კუთხოვანების მოსაწყობად** | **მ3** | | **0.95** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 13.8*1.75 | კაც/სთ | 6.5 | 6.18 | 4.6 | 28.41 | | | | | 28.41 |
| | | მანქანები 6.88*1.75 | ლარი | 1.8 | 1.71 | | | | | 3.2 | 5.47 | 5.47 |
| 14 | სნდაწ IV-2-82 46-2-2 | **ღიობების გაძლიერება ლითონის გარსაკრით** | **ტ** | | **3.26136** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 170 | 554.43 | 6.25 | 3465.20 | | | | | 3465.20 |
| | | მანქანები | ლარი | 7.69 | 25.08 | | | | | 3.2 | 80.26 | 80.26 |
| | 1.4 პ.31 | კუთხოვანა75*5 | ტ | პროექ. | 2.39743 | | | 2100 | 5034.60 | | | 5034.60 |
| | 1.6 პ.21 | ლითონის ფურცლოვანა 8მმ. | ტ | პროექ. | 0.86393 | | | 2100 | 1814.25 | | | 1814.25 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 14.5 | 47.29 | | | 3.2 | 151.33 | | | 151.33 |
| 15 | სნდაწ IV-2-82 46-18-4 | **არმატურის ღეროებისათვის კედლების დაბურღვა დ-25მმ. სირღმით 400მმ.** | **100ც** | | **3.9** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 13.8*1.75 | კაც/სთ | 92 | 358.80 | 4.6 | 1650.48 | | | | | 1650.48 |
| | | მანქანები 6.88*1.75 | ლარი | 56 | 218.40 | | | | | 3.2 | 698.88 | 698.88 |
| 16 | სნდაწ IV-2-82 15-61-1 | **არმატურის კარკასის მოწყობა კედლებზე** | **მ2** | | **500.00** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.223*1.15 | კაც/სთ | 0.25645 | 128.23 | 6.25 | 801.41 | | | | | 801.41 |
| | | მანქანები 0.005*1.25 | ლარი | 0.00625 | 3.13 | | | | | 3.2 | 10.00 | 10.00 |
| | 1.1 პ.26 | არმატურა A-I დ-6 A240 | ტ | | 0.05587 | | | 1850 | 103.36 | | | 103.36 |
| | 1.1 პ.28 | არმატურა A-III დ-8 A500C | ტ | | 3.12545 | | | 1770 | 5532.05 | | | 5532.05 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.004 | 2.00 | | | 3.2 | 6.40 | | | 6.40 |
| 17 | სნდაწ IV-2-82 15-60-3 | **არმატურის კარკასიანი კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით მ-150 სისქით 4სმ.** | **მ2** | | **500.00** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 1.42*1.15*1.16 | კაც/სთ | 1.89428 | 947.14 | 4.6 | 4356.84 | | | | | 4356.84 |
| | | მანქანები 0.069*1.25*1.15 | ლარი | 0.099188 | 49.59 | | | | | 3.2 | 158.70 | 158.70 |
| | 4.1 პ.383 | ცემენტის ხსნარი მ-150 0.00417*1.05 | მ3 | 0.043785 | 21.89 | | | 120 | 2627.10 | | | 2627.10 |
| | | სხვა მასალა 0.003*1.05 | ლარი | 0.00315 | 1.58 | | | 3.2 | 5.04 | | | 5.04 |
| | | **კიბე** | | | | | | | | | | |
| 18 | სნდაწ IV-2-82 8-3-2 | **კიბის წერტილოვანი საძირკვლის ქვეშ ღორღის საფუძვლის მოწყობა სისქით 20სმ.** | **მ3** | | **0.576** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.89 | 0.51 | 7.5 | 3.84 | | | | | 3.84 |
| | | მანქანები | ლარი | 0.37 | 0.213 | | | | | 3.2 | 0.68 | 0.68 |
| | 4.1 პ.240 | ღორღი | მ3 | 1.15 | 0.662 | | | 15 | 9.94 | | | 9.94 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.02 | 0.012 | | | 3.2 | 0.04 | | | 0.04 |
| 19 | სნდაწ IV-2-82 6-1-5 | **კიბისთვის წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა ბეტონით B-25** | **მ3** | | **1.3** | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შრომის დანახარჯები 1.37*1.15 | კაც/სთ | 6.66 | 8.66 | 7.5 | 64.94 | | | | | 64.94 |
| | | მანქანები 0.28*1.25 | ლარი | 0.59 | 0.767 | | | | | 3.2 | 2.45 | 2.45 |
| | 4.1 ვ.351 | ბეტონი B-25 | მ3 | 1.015 | 1.320 | | | 120 | 158.34 | | | 158.34 |
| | 5.1 ვ.144 | ყალიბის ფარი 25მმ. | მ2 | 1.6 | 2.080 | | | 17 | 35.36 | | | 35.36 |
| | 5.1 ვ.22 | ფიცარი ჩამოგანული III ხარ. 40მმ. | მ3 | 0.0183 | 0.024 | | | 540 | 12.85 | | | 12.85 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.40 | 0.520 | | | 3.2 | 1.66 | | | 1.66 |
| 20 | სნდაწ IV-2-82 6-9-7 | **ჩასადები დეტალების მოწყობა ჩდ-1 4ც.** | **ტ** | | **0.0697** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 210*1.15 | კაც/სთ | 241.5 | 16.83 | 4.6 | 77.43 | | | | | 77.43 |
| | | მანქანები 1.4*1.25 | ლარი | 1.75 | 0.12 | | | | | 3.2 | 0.39 | 0.39 |
| | 1.6 ვ.21 | ლითონის ფურცელი -400*400*20 | ტ | | 0.10048 | | | 2100 | 211.01 | | | 211.01 |
| | 1.1 ვ.28 | არმატურა A-III დ-12 A500C | ტ | | 0.00284 | | | 1770 | 5.03 | | | 5.03 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 2 | 0.14 | | | 3.2 | 0.45 | | | 0.45 |
| 21 | სნდაწ IV-2-82 9-32-10 | **კიბის ლითონის კარკასის მოწყობა** | **ტ** | | **0.92215** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 32.9*1.15 | კაც/სთ | 37.835 | 34.89 | 12.5 | 436.12 | | | | | 436.12 |
| | 13 ვ.46 | ამწე საავტომობილო 16ტ. 0.35*1.25 | მანქ/სთ | 0.4375 | 0.40 | | | | | 250 | 100.86 | 100.86 |
| | | მანქანები 13.9*1.25 | ლარი | 17.375 | 16.02 | | | | | 3.2 | 51.27 | 51.27 |
| | 1.4 ვ.16 | შველერი №18 | ტ | | 0.20538 | | | 2100 | 431.30 | | | 431.30 |
| | 1.4 ვ.16 | შველერი №20 | ტ | | 0.02944 | | | 2100 | 61.82 | | | 61.82 |
| | 1.4 ვ.16 | შველერი №16 | ტ | | 0.11408 | | | 2100 | 239.57 | | | 239.57 |
| | 1.4 ვ.1 | ორტესებრი№16 | ტ | | 0.07632 | | | 2100 | 160.27 | | | 160.27 |
| | 2.2 ვ.1 | მილკვადრატი 150*150*6 | ტ | | 0.08408 | | | 2100 | 176.57 | | | 176.57 |
| | 1.4 ვ.31 | კუთხოვანა 100* | ტ | | 0.00604 | | | 2100 | 12.68 | | | 12.68 |
| | 1.4 ვ.31 | კუთხოვანა 75*5 | ტ | | 0.02067 | | | 2100 | 43.41 | | | 43.41 |
| | 1.4 ვ.31 | კუთხოვანა 50*3 | ტ | | 0.06650 | | | 2100 | 139.65 | | | 139.65 |
| | 1.6 ვ.21 | ლითონის ფურცელი -150*150*6 | ტ | | 0.00212 | | | 2100 | 4.45 | | | 4.45 |
| | 1.6 ვ.21 | ლითონის ფურცელი -1400*600*2,5 | ტ | | 0.31752 | | | 2100 | 666.79 | | | 666.79 |
| | 1.10 ვ.14 | ელექტროდი | კგ | 4.78 | 4.40788 | | | 3.5 | 15.43 | | | 15.43 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 2.78 | 2.56 | | | 3.2 | 8.20 | | | 8.20 |
| 22 | სნდაწ IV-2-82 6-16-7 | **მონოლითური რკინაბეტონის კიბის ბაქნის მოწყობა სისქით 10სმ. ბეტონი B-25** | **მ3** | | **0.64176** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 15.3*1.15 | კაც/სთ | 17.595 | 11.29 | 6.25 | 70.57 | | | | | 70.57 |
| | | მანქანები 1.29*1.25 | ლარი | 1.61 | 1.035 | | | | | 3.2 | 3.31 | 3.31 |
| | 1.1 ვ.26 | არმატურა A-I დ-6 A240 | ტ | | 0.00048 | | | 1850 | 0.89 | | | 0.89 |
| | 1.1 ვ.28 | არმატურა A-III დ-8-10 A500C | ტ | | 0.119 | | | 1770 | 210.13 | | | 210.13 |
| | 4.1 ვ.351 | ბეტონი B-25 | მ3 | 1.015 | 0.651 | | | 120 | 78.17 | | | 78.17 |
| | 5.1 ვ.144 | ყალიბის ფარი 25მმ. | მ2 | 2.42 | 1.553 | | | 17 | 26.40 | | | 26.40 |
| | 5.1 ვ.18 | ფიცარი ჩამოგანული II ხარ. 25-32მმ. | მ3 | 0.0304 | 0.020 | | | 570 | 11.12 | | | 11.12 |
| | 5.1 ვ.21 | ფიცარი ჩამოგანული II ხარ. 40მმ. | მ3 | 0.0711 | 0.046 | | | 570 | 26.01 | | | 26.01 |
| | 1.10 ვ.14 | ელექტროდი | კგ | 2.4 | 1.54 | | | 3.5 | 5.39 | | | 5.39 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სხვა მასალა | ლარი | 1.31 | 0.841 | | | 3.2 | 2.69 | | | 2.69 |
| 23 | სნდაწ IV-2-82 46-18-2 | **აგურის კედლებში ბუდეების ამომტვრევა ლითონის კოჭების ჩამოსადებად** | **ცალი** | | **5.00** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.488 | 2.44 | 7.5 | 18.30 | | | | | 18.30 |
| | | მანქანები | ლარი | 0.219 | 1.10 | | | | | 3.2 | 3.50 | 3.50 |
| 24 | სნდაწ IV-2-82 46-22-5 | **ბუდეების შევსება წვრილფრაქციული ბეტონით** | **მ3** | | **0.04** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 74.2 | 2.97 | 7.5 | 22.26 | | | | | 22.26 |
| | | მანქანები | ლარი | 1.1 | 0.04 | | | | | 3.2 | 0.14 | 0.14 |
| | 4.1 პ.351 | წვრილფრაქციული ბეტონი B-25 | მ3 | 1.04 | 0.04 | | | 130 | 5.41 | | | 5.41 |
| | 1.10 პ.2 | ლურსმანი | კგ | 5.9 | 0.24 | | | 2.5 | 0.59 | | | 0.59 |
| | 5.1 პ.37 | ძელაკი III ხარ. 50-60მმ. | მ3 | 0.21 | 0.008 | | | 540 | 4.54 | | | 4.54 |
| | 5.1 პ.31 | ფიცარი ჩამოუგანავი III ხარ. 25-32მმ. | მ3 | 0.18 | 0.007 | | | 500 | 3.60 | | | 3.60 |
| 25 | სნდაწ IV-2-82 11-11-1,2 | **მონოლითური ბეტონის შემონაკირწყლის (სარინელის) მოწყობა სისქით 10სმ.** | **100მ2** | | **0.52** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 40.2+1.26*14*1.15 | კაც/სთ | 66.516 | 34.59 | 4.6 | 159.11 | | | | | 159.11 |
| | | მანქანები 1.74+0.28*14*1.25 | ლარი | 7.075 | 3.68 | | | | | 3.2 | 11.77 | 11.77 |
| | 4.1 პ.348 | ბეტონი B-12.5 3.06+0.51*14 | მ3 | 10.2 | 5.30 | | | 105 | 556.92 | | | 556.92 |
| | 4.1 პ.377 | ცემენტის ხსნარი | მ3 | 0.16 | 0.08 | | | 115 | 9.57 | | | 9.57 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 6.64 | 3.45 | | | 3.2 | 11.05 | | | 11.05 |
| 26 | სნდაწ IV-2-82 46-15-2 | **კედლებიდან ნალესის ჩამოხსნა 2 მხარე** | **მ2** | | **500.00** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.186 | 93.00 | 4.6 | 427.80 | | | | | 427.80 |
| | | მანქანები | ლარი | 0.0016 | 0.80 | | | | | 3.2 | 2.56 | 2.56 |
| 27 | სნდაწ IV-2-82 15-52-1 | **ფასადის კედლების შელესვა გარე მხარე** | **მ2** | | **250.0** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.93*1.15 | კაც/სთ | 1.0695 | 267.38 | 6.25 | 1671.09 | | | | | 1671.09 |
| | 13 პ.191 | ხსნარის ტუმბო 3მ3/სთ 0.024*1.25 | მანქ/სთ | 0.03 | 7.50 | | | | | 10 | 75.00 | 75.00 |
| | | მანქანები 0.026*1.25 | ლარი | 0.0325 | 8.13 | | | | | 3.2 | 26.00 | 26.00 |
| | 4.1 პ.386 | ცემენტის ხსნარი 1:3 | მ3 | 0.0255 | 6.38 | | | 115 | 733.13 | | | 733.13 |
| 28 | სნდაწ IV-2-82 15-55-9 | **შიდა კედლების შელესვა შიდა მხარე** | **მ2** | | **250.0** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 1.01*1.16*1.15 | კაც/სთ | 1.34734 | 336.84 | 4.6 | 1549.44 | | | | | 1549.44 |
| | 13 პ.190 | ხსნარის ტუმბო 1მ3/სთ 0.041*1.25 | მანქ/სთ | 0.05125 | 12.81 | | | | | 5 | 64.06 | 64.06 |
| | | მანქანები 0.027*1.25 | ლარი | 0.03375 | 8.44 | | | | | 3.2 | 27.00 | 27.00 |
| | 4.1 პ.386 | ცემენტის ხსნარი 1:3 | მ3 | 0.0238 | 5.95 | | | 115 | 684.25 | | | 684.25 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.003 | 0.75 | | | 3.2 | 2.40 | | | 2.40 |
| 29 | სნდაწ IV-2-82 15-168-7 | **შიდა კედლების შეღებვა** | **მ2** | | **250.0** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.658*1.15 | კაც/სთ | 0.7567 | 189.18 | 6.25 | 1182.34 | | | | | 1182.34 |
| | | მანქანები 0.01*1.25 | ლარი | 0.0125 | 3.13 | | | | | 3.2 | 10.00 | 10.00 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.2 პ.46 | საღებავი წყალემულსიური | კგ | 0.63 | 157.50 | | | 4 | 630.00 | | | 630.00 |
| | 4.2 პ.84 | ფითხი | კგ | 0.79 | 197.50 | | | 0.5 | 98.75 | | | 98.75 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.016 | 4.00 | | | 3.2 | 12.80 | | | 12.80 |
| 30 | სნდაწ IV-2-82 15-156-4 | **ფასადის შეღებვა** | **მ2** | | **250.0** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.139*1.15 | კაც/სთ | 0.15985 | 39.96 | 15 | 599.44 | | | | | 599.44 |
| | | მანქანები 0.007*1.25 | ლარი | 0.00875 | 2.19 | | | | | 3.2 | 7.00 | 7.00 |
| | 4.2 პ.59 | საღებავი ფასადის | კგ | 0.69 | 172.50 | | | 4.5 | 776.25 | | | 776.25 |
| | 4.2 პ.85 | ფითხი | კგ | 0.12 | 30.00 | | | 2.00 | 60.00 | | | 60.00 |
| | 4.2 პ.103 | გრუნტი | კგ | 0.15 | 37.50 | | | 4 | 150.00 | | | 150.00 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.0034 | 0.85 | | | 3.2 | 2.72 | | | 2.72 |
| 31 | სნდაწ IV-2-82 46-32-2 | **ფანჯრების დემონტაჟი** | **მ2** | | **15.00** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.56 | 23.40 | 0.5 | 11.70 | | | | | 11.70 |
| | | მანქანები | ლარი | 0.0984 | 1.48 | | | | | 3.2 | 4.72 | 4.72 |
| 32 | სნდაწ IV-2-82 9-14-5 | **მეტალოპლასტმასის ფანჯრების მონტაჟი** | **მ2** | | **15.00** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 2.72 | 40.80 | 1.25 | 51.00 | | | | | 51.00 |
| | | მანქანები | ლარი | 0.652 | 9.78 | | | | | 3.2 | 31.30 | 31.30 |
| | 10.3 პ.4 | მეტალოპლასტმასის ფანჯარა | მ2 | 1 | 15.00 | | | 125 | 1875.00 | | | 1875.00 |
| 33 | სნდაწ IV-2-82 46-32-3 მიყ. | **გარე ლითონის კარის დემონტაჟი** | **მ2** | | **9.20** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.887 | 8.16 | 2.5 | 20.40 | | | | | 20.40 |
| | | მანქანები | ლარი | 0.0984 | 0.91 | | | | | 3.2 | 2.90 | 2.90 |
| 34 | სნდაწ IV-2-82 9-14-5 მიყ. | **გარე, არსებული ლითონის კარის მონტაჟი** | **მ2** | | **9.20** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 2.72 | 25.02 | 4.6 | 115.11 | | | | | 115.11 |
| | | მანქანები | ლარი | 0.652 | 6.00 | | | | | 3.2 | 19.19 | 19.19 |
| 35 | სნდაწ IV-2-82 46-32-3 | **შიდა ხის კარების დემონტაჟი** | **მ2** | | **3.40** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 0.887 | 3.02 | 1.25 | 3.77 | | | | | 3.77 |
| | | მანქანები | ლარი | 0.0984 | 0.33 | | | | | 3.2 | 1.07 | 1.07 |
| 36 | სნდაწ IV-2-82 10-20-1 | **შიდა ახალი კარის მონტაჟი** | **მ2** | | **3.40** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.914*1.15 | კაც/სთ | 1.0511 | 3.57 | 4.6 | 16.44 | | | | | 16.44 |
| | | მანქანები 0.353*1.25 | ლარი | 0.441 | 1.50 | | | | | 3.2 | 4.80 | 4.80 |
| | 10.3 პ.7 | მეტალოპლასტმასის კარები | მ2 | 1 | 3.40 | | | 170 | 578.00 | | | 578.00 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.276 | 0.94 | | | 3.2 | 3.00 | | | 3.00 |
| 37 | სნდაწ IV-2-82 15-56-1 კ=1.25 | **გვერდულების შელესვა** | **მ2** | | **24.9** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 1.79*1.15 | კაც/სთ | 2.0585 | 51.26 | 5 | 256.28 | | | | | 256.28 |
| | | მანქანები 0.076*1.25 | ლარი | 0.095 | 2.37 | | | | | 3.2 | 7.57 | 7.57 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.1 პ.386 | ცემენტის ხსნარი 1:3 | მ3 | 0.044 | 1.10 | | | 115 | 125.99 | | | 125.99 |
| 38 | სნდაწ IV-2-82 7-58-4 მიყ. | **ლითონის მოაჯირის მოხსნა** | **გრძ.მ.** | | **12.31** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.379*0.6 | კაც/სთ | 0.2274 | 2.80 | 2.5 | 7.00 | | | | | 7.00 |
| | | მანქანები | ლარი | 0.028 | 0.34 | | | | | 3.2 | 1.10 | 1.10 |
| 39 | სნდაწ IV-2-82 7-58-4 | **ლითონის მოაჯირის მონტაჟი** | **გრძ.მ.** | | **12.31** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.379*1.15 | კაც/სთ | 0.43585 | 5.37 | 12.5 | 67.07 | | | | | 67.07 |
| | | მანქანები 0.028*1.25 | ლარი | 0.035 | 0.43 | | | | | 3.2 | 1.38 | 1.38 |
| | 1.9 პ.68 | ლითონის მოაჯირი | გრძ.მ. | 1 | 12.31 | | | 80 | 984.80 | | | 984.80 |
| | 4.1 პ.186 | ცემენტი მ-300 | ტ | 0.015 | 0.18 | | | 180 | 33.24 | | | 33.24 |
| 40 | სნდაწ IV-2-82 46-33-4 | **რკინაბეტონის ბაქნის დემონტაჟი** | **მ2** | | **6.4176** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 2.77 | 17.78 | 2.5 | 44.44 | | | | | 44.44 |
| | | მანქანები | ლარი | 1.207 | 7.75 | | | | | 3.2 | 24.79 | 24.79 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.087 | 0.56 | | | 3.2 | 1.79 | | | 1.79 |
| 41 | სნდაწ IV-2-82 46-33-2 | **კიბის ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი** | **მ2** | | **13.98** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 3.61 | 50.47 | 1.25 | 63.08 | | | | | 63.08 |
| | | მანქანები | ლარი | 0.401 | 5.61 | | | | | 3.2 | 17.94 | 17.94 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.059 | 0.82 | | | 3.2 | 2.64 | | | 2.64 |
| 42 | სნდაწ IV-2-82 7-50-2 | **ბზარების ინექცირება პოლიმერცემენტის ხსნარით** | **გრძ.მ.** | | **10.0** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.139*1.15 | კაც/სთ | 0.525 | 5.25 | 15 | 78.75 | | | | | 78.75 |
| | 13 პ.295 | საინექციო დანადგარი | მანქ/სთ | 0.2625 | 2.63 | | | | | 150 | 393.75 | 393.75 |
| | | მანქანები 0.007*1.25 | ლარი | 0.0067 | 0.07 | | | | | 3.2 | 0.21 | 0.21 |
| | 4.2 პ.113 | პოლიმერცემენტის ხსნარი | კგ | 0.7 | 7.00 | | | 8 | 56.00 | | | 56.00 |
| | | | | | | | | | | | | |
| 43 | სნდაწ IV-2-82 8-22-2 | **ხარაჩოების მოწყობა და დაშლა** | **მ2** | | **205.0** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 0.459*1.15 | კაც/სთ | 0.52785 | 108.21 | 4.6 | 497.76 | | | | | 497.76 |
| | | მანქანები 0.0023*1.25 | ლარი | 0.002875 | 0.59 | | | | | 3.2 | 1.89 | 1.89 |
| | 1.9 პ.57 | ხარაჩოს ლითონის დეტალები | ტ | 0.00035 | 0.07 | | | 2500 | 179.38 | | | 179.38 |
| | 5.1 პ.21 | ხარაჩოს ხის დეტალები | მ3 | 0.00009 | 0.02 | | | 800 | 14.76 | | | 14.76 |
| | | სხვა მასალა | ლარი | 0.034 | 6.97 | | | 3.2 | 22.30 | | | 22.30 |
| 44 | სნდაწ IV-2-82 6-44-8 | **ლითონის კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების და ანკერების დამზადება** | **ტ** | | **9.8143** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები 23.8*1.15 | კაც/სთ | 27.37 | 268.62 | 6.25 | 1678.86 | | | | | 1678.86 |
| | 14 პ.21 | ამწე 5,5-8ტ. 0.394*1.25 | ლარი | 0.4925 | 4.83 | | | | | 30 | 145.01 | 145.01 |
| | | ლითონის კარკასი, კონსტრუქცია | ტ | 0.03 | 0.294 | | | 2500 | 736.07 | | | 736.07 |
| | 1.1 პ.45 | მავთული 1,1მმ. | ტ | 0.005 | 0.049 | | | 2400 | 117.77 | | | 117.77 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **45** | | **პომპის მომსახურეობა** | **მ3** | | **32.10** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯები | მ3 | 1 | 32.10 | 12.5 | 401.20 | | | | | 401.20 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | **ჯამი** | | | | | **23609.99** | | **38601.35** | | **3146.91** | **65358.25** |
| | | სატრანსპორტო ხარჯები მასალის ღირებულებიდან | 4% | | | | | | | | | 1544.05 |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | **66902.30** |
| | | ზედნადები ხარჯები | 7% | | | | | | | | | 4,683.16 |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | **71,585.46** |
| | | გეგმიური დაგროვება | 7% | | | | | | | | | 5,010.98 |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | **76,596.44** |
| | | დროებითი შენობა ნაგებობები არაუმეტეს 1,2% | 0.20% | | | | | | | | | 153.19 |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | **76,749.64** |
| | | გაუთვალისწინებელი სამუშაოები | 5% | | | | | | | | | 3,837.48 |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | **80,587.12** |
| | | **საპენსიო ფონდი** | 2% | | | | | | | | | **472.20** |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | **81,059.32** |
| | | დღგ | 18% | | | | | | | | | 14,590.68 |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | **95,650.00** |

**პრეტენდენტი:** **შპს „ტაინა“ დირექტორი ვ. გეთიაშვილი**